გადარჩება? ექიმებს ეკითხება ზოზია,
გადარჩება? გმინავენ ლაზარეთის კედლები
დაო, შენი ცრემლები ჩემთვის ავგაროზია,
დაო, მჯერა სიცხიანს, სადღაც დავეხეტები.

გადარჩება? ექიმებს ეკითხება ჩემი და,
მე კი მიახლოვდება სამუდამო ქაოსი.
ვიხედები გარშემო და ამ სარეცელიდან
ყველაფერი შორსაა, გარდა სასაფლაოსი.

უიმედო წუთები თურმე უფრო სწრაფია!..
[სადღაც ზარის რეკვაა. ილესება ისარი] .
ჩემი სუსტი სხეული ვ გაწყვეტილი ძაფია,
ჩემი შემოქმედება ვ დედამიწის სიზმარი.

ჩემს გარშემო ბურია, ჩემს გარშემო ნისლია,
მოჩვენება შემოდის ღია თვალთა გუგებში.
ყველაფერი ცივია, რაც კი მარადისია!..
აი, სწორედ ამიტომ არ ვიწამე ნუგეში.

გადარჩება? ვ ექიმებს ეკითხება ზოზია,
გადარჩება? ვ გმინავენ ლაზარეთის კედლები.
დაო, შენი ცრემლები ჩემთვის ავგაროზია,
დაო, მჯერა სიცხიანს, სადღაც დავეხეტები.

კმარა სიჩუმე, ქარიშხალს ველი,
დღეს გულში ლექსი დავაბინავე.
ღამეა ჩუმი, ღამეა ვრცელი
და ვარსკვლავები ცაზე ბრწყინავენ.

და ცხრა გათავდა, ათია სრული,
უკვე ღამეა, უკვე აცივდა.
დე იყოს ცრემლი, იყოს უფსკრული,
იყოს წამება, იყოს დაცინვა.

პოეტი პატიმარი

შავი ფიქრები გროვდება ისევ,
დგება წამების თეთრი საათი.
მიწა არ მინდა და როგორც ქრისტე,
მეც ვემზადები გაფრენისათვის.

ეს გული მხოლოდ შენ გესალმება,
შენ, ანგელოზო მძიმე წარსულის.
რა იქნებოდა, რომ ჩემს წამებას
ჰქონოდა სახე ან დასასრული.

სხვა მეგობარი მე არ მყოლია,
მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი,
უფრო ხშირია მელანქოლია
და გაფიქრება შეუძლებელის.

იყო სიჩუმე, სამი წერტილი,
მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა.
ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი
და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან.

ალბათ ივნისი დადგება მალე,
დღეს ხომ მაისის ოცდაშვიდია.
და მენატრება ისეთი მხარე,
სადაც დუმილი და სიმშვიდეა.

ისმის ხმაური, არის ცხელება
და ჟონავს წვიმა, ოდნავ ხმოვანი.
ციხე დგას, როგორც საშინელება,
დამძიმებული და კეთროვანი.

გულისტკივილი უფრო ღრმავდება,
როდესაც ვუმზერ ჯიბგირს და ბანდიტს
ალბათეს ღამე არ გათავდება,
ძნელია მისვლა გათენებამდის.

და იმედები ისევ ტირიან
და მწუხარეა ჩემი მეობა,
კარები ირგვლივ დაკეტილია
და ვურიგდები მდგომარეობას.

აღარც თენდება, უფრო ვღონდები,
ღამეა ჩუმი და ნაწვიმარი.
ალბათ ვიღაცას იქ ვაგონდები,
როგორც პოეტი და პატიმარი.